ქვეპროგრამის დასახელება: შინმოვლის თანადაფინანსება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული პირების შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფას.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული პირები, რომლებიც ფიზიკური უძლურების შეფასების სპეციალური "ბართელის" კითხვარის შევსების შედეგად მიიღებენ ბართელის ინდექსს არაუმეტეს 95 ერთეულსა.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელებას. აღნიშნული ღონისძიება, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მრავალდარგობრივი გუნდის მიერ ბინაზე მოვლას მოიცავს.

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

მომსახურების მისაღებად ბენეფიციარმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხელ ხაზზე-272 22 22 უნდა დარეკოს.